

# Internet Governance Forum of Georgia

## Charter

Tbilisi

2016

1. Introduction	1. შესავალი
<p>1.1 Organizers of local IGF and initiatives understanding of critical importance for all stakeholders to be involved in IG discussions and processes.</p> <p>1.2. Georgia's' IG Forum will help develop local Internet governance dialogues and openness of all processes and consultations.</p> <p>1.3</p>	<p>1.1. საქართველოს ინტერნეტ-მმართველობის ფორუმი ფუძნდება საქართველოს ინტერნეტ-მმართველობის ყველა დაინტერესებული პირის ან მათი წარმომადგენლების მიერ, სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე. ამ დოკუმენტის ხელმოწერი ყველა პირი წარმოადგენს მის დამფუძნებელს;</p> <p>1.2. საქართველოს ინტერნეტ-მმართველობის ფორუმი ხელს შეუწყობს ადგილობრივი ინტერნეტ-მმართველობის დიალოგს და ყველა პროცესებისა და კონსულტაციების ღიაობას;</p> <p>1.3. საქართველოს ინტერნეტ-მმართველობის ფორუმის ორგანიზატორები აცნობიერებენ რა ყველა დაინტერესებული მხარის ინტერნეტ-მმართველობის დისკუსიებსა და პროცესებში ჩართულობის მნიშვნელობას, ინვევენ ყველა დაინტერესებულ მხარეს აღნიშნულ პროცესებში ჩასართავად.</p> <p>1.4. ინტერნეტ მმართველოფის ფორუმი ფუძნდება საქართველოს ინტერნეტ მმართველობის საკთხებთან დაკავშირებული დიანტერესებული პირების აის მიერ სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე და ამ დოკუმენტის ხელმწომწერი ყველა პირი წარმოადგენს მის დამფუძნებელს</p>

2. Mission	2. მისია
<p>2.1 Georgia's The IGF initiative is contributing to raising awareness for the Internet Governance issues in Georgia, where it also contribute to promoting the multistakeholder approach as a new form of participatory democracy.</p> <p>2.2 IGF Georgia's type initiatives is fostering a dialogue between all stakeholders, government, parliamentarians, private sector, civil society and the technical community. This will change the nature of Internet governance in Georgia, and helps to moves toward cooperative models of regulation.</p>	<p>2.1 საქართველოს ინტერნეტ მმართველობის ფორუმი ხელს შეუწყობს ლოკალური ინტერნეტ მმართველობის საკითხების შესახებ დიალოგს და ყველა პროცესების და კონსულტაციების ღიაობას, ასევე ინტერნეტის მმართველობის საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. აღნიშნულით ფორუმს შეაქვს წვლილი პროცესებში მრავალმხრივი ჩართულობის მიდგომის ჩამოყალიბებაში, როგორც ახალი, მხარეების ჩართულობის დემოკრატიული ფორმის, დამკვიდრებაში;</p> <p>2.2 საქართველოს ინტერნეტის მმართველობის ფორუმის ინიციატივა აჩქარებს დიალოგს ყველა დიანტერესებულ მხარეს შორის; კერძოდ: სამთავრობო, საპარლამენტო, კერძო სექტორს, სამოქალაქო საზოგადოებასა და ტექნიკურ საზოგადოებას შორის. აღნიშნულმა ფორუმმა უნდა შეცვალოს საქართველოს ინტერნეტის მმართველობის მრავალმხრივი ჩართულობის მოდელების დამკვიდრებისკენ სვლას.</p>

	<p align="center"><b>3. საქართველოს ინტერნეტ-მმართველობის ფორუმის ინციატივის პრინციპები</b></p>
	<p><b>3.1</b> საქართველოს ინტერნეტ-მმართველობის ფორუმის 10 სახელმძღვანელოს პრინციპია:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ადამიანის ფუნდამენტური უფლებების და თავისუფლებების დაცვა ინტერნეტში, დემოკრატიული პროცესების და კანონის უზენაესობის ხელშეწყობა;</li> <li>2. ინტერნეტ-მმართველობის განხორციელება ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით;</li> <li>3. საერთაშორისო რეგულაციების და ქვეყნის კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ხელშეწყობა;</li> <li>4. მომხმარებლების უფლებების და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობა;</li> <li>5. ინტერნეტის უნივერსალიზაციის ხელშეწყობა;</li> <li>6. ინტერნეტის უსაფრთხოების და საიმედოობის, მდგრადობის და სანდოობის ხელშეწყობა;</li> <li>7. ინტერნეტ-მმართველობის დეცენტრალიზებული და სოციალურ პასუხისმგებლობაზე დამყარებული მიდგომების ჩამოყალიბების მხარდაჭერა;</li> <li>8. ინტერნეტ სექტორში ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების და სერვისების დანერგვის ხელშეწყობა;</li> <li>9. ღია დაშვების და მომხმარებლისთვის არჩევანის თავისუფლების პრინციპების დანერგვა;</li> <li>10. კულტურული და ლინგვისტური მრავალფეროვნების ხელშეწყობა ინტერნეტში, ლოკალური კონტენტის მოცულობის ზრდის განვითარება.</li> </ol> <p><b>3.2.</b> ინტერნეტ-მმართველობის ფორუმის მიერ შეთანხმებული რეკომენდაცია და მინოდება, უნდა შეესაბამებოდეს ზემოთ ჩამოვლილ 10 პრინციპს.</p>

<p align="center"><b>4. Goals of Georgia’s IGF initiative</b></p>	<p align="center"><b>4. საქართველოს ინტერნეტ-მმართველობის ფორუმის ინციატივის მიზნები</b></p>
<p>Georgia’s IGF initiatives is based on Bottom up and Inclusive and multi stakeholder approaches and will:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• Support Process of public consultation and opportunity for all</li> </ul>	<p><b>4.1.</b> საქართველოს ინტერნეტ-მმართველობის ფორუმი დაფუძნებულია ღია კონსულტაციების გზით, კონკრეტული პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებისათვის და საუკეთესო პრაქტიკის გასზიარებლად, ყველა დონეზე;</p>

<p>stakeholders to identify and discuss the local problematic topics.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• Suggested tools to survey or crowd source topics.</li> <li>• Remote participation all interested persons during the event.</li> <li>• Georgia's IG events is designed for public discussion to identify issues and share best practice at all levels.</li> <li>• Involve Governments, civil society, business, academic and technical communities;</li> <li>• Organized by involving of multi stakeholder groups representatives.</li> <li>• Event Content will reflecting all communities' interests: based on local needs, program should could not be captured by one stakeholder group.</li> </ul>	<p><b>4.2.</b> საქართველოს ინტერნეტ-მმართველობის ინიციატივა ემყარება ინტერნეტ-საზოგადოებიდან მომავალი ე.წ. Bottom up", და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის მიდგომების პრინციპსა და მიზნად ისახავს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ხელი შეუწყოს საქარო კონსულტაციების პროცესს და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას ადგილობრივი პრობლემების იდენტიფიცირებასა და განხილვაში;</li> <li>• შესთავაზოს დაინტერესებულ მხარეებს ელექტრონული საშუალებები გამოკვლევებისათვის ან მოსაზრებების მოწოდებისთვის;</li> <li>• უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული პირის დისტანციური ჩართულობა ფორუმის ან სხვა მსგავსი ღონისძიების მიმდინარეობისას;</li> <li>• უზრუნველყოს სახელმწიფო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის, აკადემიური წერეთების და ტექნიკური საზოგადოების ჩართულობა;</li> </ul> <p><b>4.3</b> ფორუმის შინაარსი უნდა ასახავდეს ყველა ჯგუფის ინტერესებს, რომელიც უნდა ემყარებოდეს ადგილობრივ საჭიროებებს. ფორუმის ღონისძიების პროგრამა არ უნდა პასუხობდეს ერთი რომელიმე კონკრეტული ჯგუფის ინტერესებს.</p>
---	--

5. ინტერნეტ-მმართველობის ფორუმის სტრუქტურა	
	<p><b>5.1</b> ინტერნეტ-მმართველობის ფორუმი ფუძნდება ამ დოკუმენტის ხელმომწერი პირების ან მათი წარმომადგენლების მიერ (შემდგომში „ინტერნეტ-მმართველობის საზოგადოება“). მასში მონაწილეობა ნებაყოფლობითია, ხორციელდება სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე და არ წარმოშობს რაიმე ტიპის ფინანსურ ან სხვა სახის ვალდებულებებს;</p> <p><b>5.2</b> „ინტერნეტ-მმართველობის საზოგადოება“ ამ წესდებით დადგენილი წესით, ერთი წლის ვადით, ირჩევს საქართველოს ინტერნეტ-მმართველობის ფორუმის საბჭოს, ამ წესდების 5.3 მუხლით დადგენილი კვოტების მიხედვით;</p> <p><b>5.3</b> საქართველოს ინტერნეტ-მმართველობის ფორუმის საბჭოში დაინტერესებული პირები ნაწილდება შედეგ 5 ჯგუფად: სამთავრობო, კომერციული, არასამთავრობო, აკადემიური (ტექნიკური საზოგადოების წარმომადგენლები) და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამავე კომიტეტის შემადგენლობაში დამატებით შედიან „ინტერნეტ-</p>

მმართველობის საზოგადოების“ ფორუმის „მასპინძლები“ როგორც სახელმწიფო სექტორიდან, ასევე არასამთავრობო ან სხვა სექტორიდან.

საქართველოს ინტერნეტ-მმართველობის ფორუმის საბჭოში კვოტები ნაწილდება შემდეგი პრინციპით:

- სამთავრობო სექტორი - 4 წარმომადგენელი
- კომერციული სექტორი - 4 წარმომადგენელი
- არასამთავრობო ორგანიზაციები - 4 წარმომადგენელი;
- აკადემიური (ტექნიკური საზოგადოების წარმომადგენლები) სექტორი - 4 წარმომადგენელი
- საერთაშორისო ორგანიზაციები - 4 წარმომადგენელი .

„ინტერნეტ-მმართველობის საზოგადოების“ მიერ შერჩეული 2 ორგანიზაცია სახელდება ფორუმის „მასპინძლებად“ (შემდგომში „მასპინძლები“). „მასპინძლები“ შედგება როგორც სახელმწიფო სექტორის, ასევე არასამთავრობო ან სხვა სექტორის წარმომადგენლებისგან - თითოეულიდან თითო წარმომადგენელი, მთლიანობაში 22 წარმომადგენელი;

5.4 საქართველოს ინტერნეტ მმართველობის ფორუმის საბჭოს წარმომადგენლებს შეარჩევენ „ინტერნეტ- მმართველობის საზოგადოების“ დამსწრე პირები; ინტერნეტ მმართველობის საბჭოში ინტერესთა ჯგუფის წარმომადგენლების შერჩევა ხდება დაინტერესებული ჯგუფის წევრების მიერ „ინტერნეტ მმართველობის საზოგადოების“ დამსწრე პირებიდან.

5.5 „ინტერნეტ-მმართველობის ფორუმის საბჭო“ ამტკიცებს ინტერნეტ-მმართველობის ფორუმის წლის განმავლობაში გასამართი ღონისძიებების სამოქმედო გეგმას და დღის წესრიგს;

5.6. „საქართველოს ინტერნეტ-მმართველობის ფორუმის საბჭო“, თავისი შემადგენლობიდან, საორგანიზაციო და სხვა მიმდინარე საკითხების მომზადების მიზნით, შეარჩევს „საქართველოს ინტერნეტ-მმართველობის ფორუმის კომიტეტს“. აღნიშნულ კომიტეტში შედიან როგორც „მასპინძელი“ ორგანიზაციების თითო წარმომადგენელი (სულ 2 წარმომადგენელი), ასევე 3 წარმომადგენელი საბჭოს თემატური ჯგუფებიდან. „საქართველოს ინტერნეტ-მმართველობის ფორუმის კომიტეტს“, კოორდინირების მიზნით, ჰყავს აღმასრულებელი მდივანი, რომლის ვალდებულებებში შედის საორგანიზაციო და სხვა მიმდინარე საკითხების მომზადება;

5.7 ინტერნეტ-მმართველობის ფორუმს ჰყავს მხარდამჭერი ორგანიზაციები, რომელთა წვლილი განისაზღვრება სხვადასხვა მხარდამჭერი აქტივობით, მათ შორის ღონისძიებების ცალკეული მიმართულებების დაფინანსებით. მხარდამჭერ ორგანიზაციებს არა

	<p>აქვთ უფლება, რაიმე ფორმით გავლენა მოახდინონ ფორუმის დღის წესრიგის განსაზღვრაზე;</p> <p><b>5.8</b> ფორუმის ყველა რგოლში გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით.</p>
--	--

6. Involvement of parties	6. მხარეების ჩართულობა
<p><b>6.1 Multi stakeholder Steering Group</b></p> <p>A multi stakeholder Steering Group by bringing multiple views benefits the event, and helping reach different audiences in country and region.</p> <p>The steering group will both lead the strategic direction and the event and manage the practical steps leading to a successful event: forming a team, logistics, program design, outreach and sponsorship.</p> <p>Members of the Steering Group have a common understanding of the goals for the event, an agreed baseline for the work plan and timeline. Initiative group will create virtual open web space or organized local and regional preparatory meetings publicly available.</p> <p>6.4 Local team will be created by organizers from year to year and will consist:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>•Don't just friends to be on team –</li> <li>. The team will consist a variety of individuals when it comes to Geo IGF</li> </ul>	<p><b>6.1 საორგანიზაციო კომიტეტი</b></p> <p>ფორუმის საორგანიზაციო კომიტეტი, ღონისძიების დღის წესრიგის შესადგენად ინტერნეტ საზოგადოების სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების მოსაზრებების და ხედვის მოსაპოვებლად, უზრუნველყოფს ონლაინ გამოკითხვების სივრცეს, ინფორმაციის შეგროვებასა და დაჯგუფებას და ასევე, აღნიშნული ინფორმაციის გატანას „ინტერნეტ-მმართველობის ფორუმის საბჭოზე“ დღის კონკრეტული წლის ფორუმის დღის წესრიგის დასამტკიცებლად. აღნიშნული ქმედებით კომიტეტი ხელს უწყობს ფორუმს, მოიცვას განსხვავებული აუდიტორია და დაინტერესებული ჯგუფები;</p> <p><b>6.2</b> საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი, კომიტეტის წევრებთან ერთად, კორდინაციას უწევს სტრატეგიული მიმართულებების შემუშავებას. ამასთანავე, იგი გადადგამს კონკრეტულ ნაბიჯებს საორგანიზაციო საქმიანობის საკითხების ჩამოყალიბება-განაწილების, ლოგისტიკის, დღის წესრიგის დიზაინის, სათანადოდ გაშუქებისა და სპონსორების მოძიების მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს ღონისძიების წარმატებას.</p> <p><b>6.3</b> საორგანიზაციო კომიტეტის წევრები თანხმდებიან ღონისძიების მიზნებზე, ძირითად პრინციპებზე, სამუშაო გეგმასა და დღის წესრიგზე და დასამტკიცებლად წარუდგენენ კომიტეტს. საორგანიზაციო კომიტეტი ქმნის ვებ-პლატფორმას და/ან ორგანიზებას გაუწევს ადგილობრივ ან რეგიონულ საჯარო შეხვედრებს ღონისძიების წინამოსამზადებელი საკითხების შესაჯერებლად.</p> <p><b>6.4</b> საქართველოს ინტერნეტ-მართვის ფორუმის კომიტეტი ყოველწლიურად აკომპლექტებს ადგილობრივ მოხალისეების გუნდს (არაუმეტეს 12 ადამიანი), შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ნაკლები კანდიდატი მოგობრული ნიშნით;</li> <li>- სხვადასხვა გამოცდილების, მქონე პირები.</li> </ul>

<p>core team. The quality of team members is more important than quantity. The organizing team members with project management experience will be welcomed.</p>	
<p><b>5.3 The management of the team</b></p>	<p><b>6.5 ფორუმის მენეჯმენტი</b></p>
<p>The manager of the event will develop a task list and project timeline including responsibilities and deliverables of team members. There will be Scheduled regular coordination meetings (at least ones in the week) to make sure activities are on track and next steps are clear. The online project management and sharing tools.</p>	<p>ფორუმის საბჭო ამტკიცებს კომიტეტის მიერ შემუშავებულ სამუშაო გეგმას და გეგმის შესრულების გრაფიკს; ასევე, განსაზღვრავს გუნდის წევრების პასუხისმგებლობებსა და აკონტროლებს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოს. მინიმუმ ორ კვირაში ერთხელ ხდება ინფორმაციის მიწოდება საბჭოსთვის კომიტეტის ამოცანების განხორციელების პროგრესის მონიტორინგის მიზნით. ამავე შეხვედრებზე დაიგეგმება შემდგომი ნაბიჯებიც. პროექტის მართვის ელ.სისტემის მეშვეობით განხორციელდება ინფორმაციის მიწოდება ინტერნეტ-მმართველობის ფორუმის ყველა წევრისათვის.</p>
<p><b>7. The day of the event</b></p>	<p><b>7. ფორუმის ჩატარების დღე</b></p>
<p>7.1 The management of the event will confirm all details of venue, A/V, volunteers and speakers in the weeks leading up to the event. Organizers will set up onsite communications method that works best for the team. They will Use a group chat or instant messaging server.</p> <p>7.2 The management will create an event day checklist; best if combined with an event day script in chronological order using a spreadsheet format. They will be flexible at event. They have to change problematic fields or sessions according to plan.</p>	<p>7.1 ღონისძიების ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე ფორუმის მენეჯმენტი ადასტურებს ღონისძიებასთან დაკავშირებულ ყველა დეტალს, როგორც არის: ჩატარების ადგილი, მომხსენებლები და ყველა სხვა ლოგისტიკური თუ საორგანიზაციო საკითხი. ფორუმის ორგანიზატორებს შორის კომუნიკაცია განხორციელდება ისეთი ჩატ პროგრამების გამოყენებით, რომლებიც მოერგება შიდა მოთხოვნებს;</p> <p>7.2 ფორუმის საორგანიზაციო კომიტეტი ქმნის ღონისძიების დღესთან დაკავშირებული ამოცანების საკონტროლო სიას. ონლიან პლატფორმების გამოყენებით საკონტროლო სია, საორგანიზაციო ამოცანების შემცველ დოკუმენტებთან ერთად, ხელმისაწვდომი უნდა იყოს გუნდის ყველა წევრისათვის. პრობლემური საკითხები უნდა გადაწყდეს წინასწარ შეთანხმებული გეგმის მიხედვით.</p>
<p><b>8. Venues &amp; Spaces</b></p>	<p><b>8. ფორუმის ჩატარების ადგილი და სივრცე</b></p>
<p>The organizers will select a venue that fits the size and needs of local or regional IGF audience and speakers, theme and event type as well as one that works for</p>	<p>ფორუმის ორგანიზატორებმა უნდა შეარჩიონ ღონისძიების გასამართი ადგილი: ფასის, გამომსვლელების მოთხოვნებისა და ფორუმის მასშტაბებიდან გამომდინარე. ასევე, გათვალისწინებული უნდა იყოს ბიუჯეტის მოკულობა. ორგანიზატორები უნდა</p>

<p>your budget. The team will use all resources which can reduce event costs.</p>	<p>შეეცადონ, შეძლებისდაგვარად შეამცირონ ფორუმის ჩასატარებელი ბიუჯეტი.</p>
<p><b>9. Agenda &amp; Programme of the event</b></p>	<p><b>9. ფორუმის დღის წესრიგი და პროგრამა</b></p>
<p>Everyone would have a chance to be part of setting the agenda and shape the issues, through a consultative process. The program will be focused on themes that are relevant locally year by year, will bring as many different voices/views as possible. The Agenda of the event will be simple and have to avoid addressing too many topics. There will be gaps for questions and dialogues. The wrap-up session will be at the end to consolidate the key discussions, and eventually propose output documents.</p>	<p>ყველა დაინტერესებულ მხარეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს ფორუმის პროგრამის შედგენაში. ღონისძიების პროგრამა უნდა იყოს მაქსიმალურად ორიენტირებული ადგილობრივ პრობლემებზე და საშუალება მისცეს ყველა დაინტერესებულ და ასევე, განსხვავებული შეხედულების მქონე მხარეს, გამოთქვას თავისი აზრი. ღონისძიების დღის წესრიგი არ უნდა იყოს გადატვირთული და სასურველია, დასრულდეს ერთი დღეში. ღონისძიების ჩატარების დღის წესრიგი, გამოსვლებთან ერთად, უნდა ითვალისწინებდეს კომენტარებისა და დისკუსიების დროსაც. ღონისძიების ბოლოს უნდა გაიმართოს შემაჯამებელი სხდომა, რომლის დროსაც შეჯერდება ფორუმის დროს გამართული დისკუსიები. შემაჯამებელი სხდომა საშუალებას მისცემს ორგანიზატორებს, მოამზადონ შემაჯამებელი ანგარიში. შემაჯამებელი ანგარიში მზადდება კომიტეტის მიერ და ამტკიცებს საბჭო.</p>
<p><b>10. Branding &amp; Promotion</b></p>	<p><b>10. ფორუმის მედია მხარდაჭერა და ბრენდინგი</b></p>
<p>9.1 The specific brand of the event will be IGF-Tbilisi, or GEO IGF and year of the event. The website of the event will be <a href="http://www.geoigf.ge">www.geoigf.ge</a> All key information will be on webpage and registration will be enabled. The schedule of the event, feature speakers, coverage, will be available online. Event will have FB and other social media support, which will be renewed daily. 9.2 The event will be supported by webcasting for participants who can expect. Organizers will create the momentum for your event and will use social media and digital outreach. They have to using a specific hashtag on Twitter and other social media, share "teaser" content before the event and ask</p>	<p>10.1 ფორუმის ჩატარდება IGF-საქართველოს ან GEO IGF-ის სახელის ქვეშ. ფორუმის ვებ-გვერდის მისამართი იქნება <a href="http://www.geoigf.ge">www.geoigf.ge</a>. მოცემულ ვებ-გვერდზე განთავსდება ფორუმთან დაკავშირებული ინფორმაცია: დღის წესრიგი, გამომსვლელები და თემები. ვებ-გვერდის მეშვეობით შესაძლებელი იქნება მონაწილე პირების რეგისტრაციაც და ინფორმაციის გამოწერაც. ფორუმი უნდა გაშუქდეს ონლაინ პლატფორმების გამოყენებითაც. შეიქმნება ანგარიშები სოციალური მედიის ვებ-გვერდებზე, სადაც ყოველდღიურად განახლდება ინფორმაცია; 10.2 ფორუმის „ონლაინ სტრიმინგი“ საშუალებას მიცემს სხვადასხვა ქვეყნაში მყოფ დაინტერესებულ პირებს, თვალყური ადევნონ ღონისძიებას. ფორუმის კომიტეტის წევრები სოციალური მედიისა და ციფრული კომუნიკაციის გამოყენებით, შეეცდებიან, ხმა მიანვდინონ მაქსიმალურად ბევრ დაინტერესებულ ადამიანს. ღონისძიების ფარგლებში განსახილველი თემები ონლაინ პლატფორმებზე დაანონსდება. მოეწყობა თემების ონლაინ განხილვები დაინტერესებული პირებისათვის. ყოველივე ზემოთქმული მიზნად ისახავს დაინტერესებული პირების მაღალ</p>



for comments, feature event keynote or well-known speakers.

### 9.3 Participants, Speakers & Experience

The event will reach out broadly to ensure geographical, gender and stakeholder diversity. In case of remote participation, virtual participants will be taken into account during the sessions. The event organizers will welcome the online audience, ask them questions, enable interaction between the onsite and remote audience, offer a feedback form for the participants. Local and regional IGF organizers will create a communication channel with participants to follow up post-event, start building for next year's event (e.g. mailing list, Facebook page, etc.). All speakers will be recorded or made available for remote participation, it is common practice to announce this prior to the event. In some countries it may be a requirement to have a disclaimer or image license agreement in place for speakers at your event.

9.4 The event will be user friendly for attendees but also for those that were unable to make it (E.g. capture testimonials of participants in video or photos).The team will monitor social media and harvest the content from the hashtag to be republished or consolidated. The organizers will create a story with the user generated content around the hashtag of the event, e.g. team can use Story to harvest content from links, photos, tweets, Instagram, Facebook and many other social media sharing platforms and collect them into one curated story embed in your website. They have to create a channel on

აქტივობასა და მაქსიმალურ ჩართულობას.

**10.3** ფორუმის ორგანიზებისას გათვალისწინებული უნდა იყოს გეოგრაფიული, გენდერული და მრავალმხრივი ჩართულობის პრინციპი. ორგანიზატორები უზრუნველყოფენ მონაწილეთა სრულფასოვან, ინტერაქტიურ ჩართულობას ღონისძიებაში, რაც გამოიხატება კომენტარებისა და შეფასების შესაძლებლობის უზრუნველყოფაში. ფორუმის ორგანიზატორებმა უნდა შექმნან უკუკავშირის არხი იმისათვის, რომ ფორუმის ჩატარების შემდგომ, განხორციელდეს მონაწილეთა გამოხმაურებებისა და შეფასებების შეგროვება და შემდგომი ანალიზი, მომდევნო წელს ჩასატარებელი ღონისძიებისათვის. უკუკავშირის მეთოდულად გამოყენებული უნდა იყოს სოციალური მედია და ელ. ფოსტა. ყოველ სესიაზე უზრუნველყოფილი იქნება ვიდეო-გადაღება დისტანციური მონაწილეებისათვის, რაც უნდა გამოცხადდეს ღონისძიების დასასრულისთვის. საკუთარი პრეზენტაციისას გამოყენებულ მასალებზე პასუხისმგებელი უნდა იყოს თავად გამომსვლელი;

**10.4** ღონისძიება უნდა გაიმართოს მეგობრულ გარემოში ამის დადასტურება იქნება მონაწილეთა ფოტო და ვიდეო-მასალა. სამუშაო ჯგუფი მონიტორინგს განხორციელებს კომუნიკაციის არხებით - ძირითადად, სოც. მედიით შემოსულ კონტენტს, განათავსებს ოფიციალურ ვებ-გვერდზე და გამოიყენებს ანალიზისათვის. ფორუმის ორგანიზატორები შექმნიან კონტენტის ბანკს, სადაც თავს მოიყრის ფოტო აუდიო თუ ბმულები რომელიც ფორუმის ჰეშთეგის ქვეშ დაიდო. მაგალითად, ფორუმის გუნდი შეკრებს ფოტო, ვიდეო და ტექსტურ ინფორმაციას რომელიც განთავსდა სხვადასხვა სოც.ქსელების გვერდებზე ფორუმის ოფიციალური ჰეშთეგის ქვეშ და მონესრიგებულად განათავსებს მათ ვებ გვერდზე. ორგანიზატორები შექმნიან ანგარიშს youtube.com-ზე, სადაც შესაბამისი ჰეშთეგის ქვეშ განთავსდება ოფიციალური ვიდეო-რგოლები, ასევე ფოტო ალბომს ფორუმის ოფიციალურ ვებ გვერდზე.

**10.5** ფორუმის მიმდინარეობისას შექმნილი განხილვების ამსახველი დოკუმენტაცია შეინახება ელექტრონულად. მოხალისეები ასევე დაადოკუმენტირებენ მნიშვნელოვან დიალოგებს, განხილვებს, გადანყვეტილებებსა და შეთანხმებებს. კონტენტის შეგროვების პროცესი იქნება გამჭვირვალე და ნეიტრალური.კონტენტი ხელმისაწვდომი იქნება ფორუმის ინტერნეტგვერდზე.

<p>YouTube for all video materials, tag them with the hashtag, and also create a photo album to aggregate all photos, add the hashtag to the photos.</p> <p>10.5 The documentation of the discussions will be kept. Volunteer rapporteurs may consolidate a document capturing the main discussion topics, the consents and dissents, case studies and all relevant information. The content capturing will be transparent and neutral.</p>	
<p><b>11. Sponsors &amp; Finance</b></p>	<p><b>11. მხარდამჭერები და ფინანსირება</b></p>
<p>All sponsors of the event will be prepared and will clearly understand the value of the event to a prospective sponsor. For the event will be used financial contributions and in-kind support contributions: room/venue, coffee breaks, giveaways, etc. The event is based on free attendance. The organizers will track every income (donation, sponsorship, revenues) and expense (venue, catering, travels) in a clear and organized manner.</p>	<p>მხარდამჭერი ორგანიზაციებისათვის ცხადად იქნება განმარტებული ფორუმის მიზნები და ამოცანები. ფორუმის ფინანსირებისას გამოყენებული იქნება მატერიალური ან ფულადი შემონირულობების ფორმა, რომელიც დააფინანსებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ღონისძიების ჩასატარებელ ფართს</li> <li>• ყავისა და სადილის შესვენებებს</li> <li>• სოციალურ ღონისძიებას და სხვა.</li> <li>• ინტერნეტ-გვერდის და ონლაინ ტრანსლირების აქტივობებს.</li> <li>• სხვა აქტივობებს რომელი პირდაპირ უკავშირდება ფორუმის ორგანიზაციის საქმეებს და შეთანხმებულის კომიტეტის მიერ საბჭოსთან.</li> </ul> <p>ფორუმის ღონისძიებაზე დასწრება თავისუფალია და უზრუნველყოფილი იქნება ელექტრონული რეგისტრაციის წესი. ფორუმის ორგანიზატორები გამჭვირვალედ წარმართავენ ფინანსური სახსრების მიმოქცევის მონიტორინგს და საბოლოო ანგარიშში ასახავენ ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილს.</p>
<p><b>12. Post-event period and action plans</b></p>	<p><b>12. ღონისძიების შემდგომი პერიოდი და სამოქმედო გეგმა</b></p>
<p>On the event will create a final document with short recommendation to be shared with the participants and the community. The description can consist of the key issues and concrete action points to</p>	<p>ღონისძიების დასასრულ, შეიქმნება საანგარიშო დოკუმენტი, რომელშიც თავმოყრილი იქნება ყველა რეკომენდაცია ღონისძიების ფარგლებში განხილული საკითხების გარშემო. მოცემულ დოკუმენტში შესული რეკომენდაციები დაკავშირებული იქნება გადამწყვეტ საკითხებთან და ამასთან ერთად, დოკუმენტში იქნება აღწერილი სამოქმედო გეგმა თითოეულ ამ საკითხთან</p>

<p>follow up on. The organizers will collect feedback from participants and speakers through a survey. Their comments will help improve future editions. The organizers can create a communication channel to keep the discussions going online (e.g. a mailing list, a social media community and etc.).</p>	<p>მიმართებაში. ორგანიზატორები, უკუკავშირის გამოყენებით, შეაგროვებენ გამოხმაურებებს როგორც მონაწილეების, ასევე - მომხსენებლების მხრიდან. ორგანიზატორები შექმნიან საკომუნიკაციო გარემოს და სპეციალურ ჯგუფებს ინტერნეტში, რომლის მეშვეობითაც გაგრძელდება ონლაინ დისკუსიები (მ.გ. ელ.ფოსტა, სოციალური მედია და სხვა.).</p>
---	---